პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 34 (10428) | პარასკევი, 10 თებერვალი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

სოფლის მეურნეობის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ყოველი ღონისძიებით განვითარება. 1960 წელს 1955 წელთან შედარებით მარცვლეულის წარმოება გადიდდეს დაახლოებით 1,8-ჯერ, მათ შორის მნიშვნელოვნად გადიდდეს სიმინდისა და სიმინდის წარმოება; სელის ბოჭკოსი — 1,4-ჯერ, შაქრის ჭარხლისა — 2,5-ჯერ, კარტოფილისა — 2,6-ჯერ, ბოსტნეულისა — 2,6-ჯერ, ხორცისა — 2-ჯერ, რძისა — 1,9-ჯერ, კვერცხისა — 2,5-ჯერ და მატყლისა — 1,6-ჯერ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

მხარი დავუჭიროთ მოწინავეთა პაჭრიოტულ თაოსნობას

ეოახლოვდა 14 თებერვალი — ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გახსნის დღე. ყრილობის წინადღეებში საკოლმეურნეო სოფლებში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა. ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა გმირ მუშათა კლასთან ერთად წარმატებით ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდება პარტიის XX ყრილობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. პროექტის განხილვისას და შესწავლისას ისინი ავლენენ ახალ რეზერვებს და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს სოციალისტური მეწარმოებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მეექვსე ხუთწლედის დირექტივების პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას და კერძოდ სიმინდის, როგორც ყველაზე მოსავლიანი კულტურის, ფართოდ დანერგვას. სიმინდი შესანიშნავი კულტურაა. იგი იმით არის ძვირფასი, რომ ერთსა და იმავე დროს წყვეტს ორ ამოცანას — მარცვლეულის რესურსების შევსებას და სიმინდის ღეროსაგან კარგი სილოსის მიღებას.

საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ 1960 წლისათვის მთლიანად რესპუბლიკაში მარცვლეულის საერთო მოსავალი აყვანილ უნდა იქნას 62 მილიონ ფუთამდე. ამისათვის საჭიროა მკვეთრად გავზარდოთ ყველა მარცვლეული კულტურის მოსავლიანობა, ავიყვანოთ სიმინდის ფართობი კოლმეურნეობებში 280 ათას ჰექტარამდე და გავადიდოთ მისი საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 23 ცენტნერამდე.

კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებულმა დიად სამუშაოთა გეგმამ საბჭოთა ადამიანებში შემოქმედებითი ძალისა და ენერგიის ახალი მოზღვავება გამოიწვია. ამ დღეებში ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა მოწოდებით მიმართეს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1956 წელს ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებისათვის. საქართველოს სოფლის მუშაკები ამ პატრიოტულ მოწოდებას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ.

დღეს „კომუნისტში“ ქვეყნდება მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვა საქართველოს კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მემინდვრის, მეცხოველისა და მექანიზატორისადმი მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლისათვის.

ვკითხულობთ ამ მოწოდებას და ვრწმუნდებით, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი აქვთ კოლმეურნეობებს სიმინდის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად. აღნიშნულმა კოლმეურნეობამ სიმინდის კულტურის მაღალი მოსავლის მეოხებით ყველა მარცვლეული კულტურის საერთო მოსავლის დავალება შეასრულა ერთიორად, ხოლო მერძეული მეცხოველეობის პროდუქტიულობა ერთი წლის განმავლობაში თითქმის ერთისამად გაადიდა.

წილკნელმა კოლმეურნეებმა სერიოზული და პასუხსაგები ვალდებულებები იკისრეს. მათი პირობაა მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს სიმინდის ნათესის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ არანაკლებ 55 ცენტნერი მარცვლისა, თვითეულ საფურაქე ძროხაზე მოწველონ 2.300 კილოგრამი რძე და პარტიისა და მთავრობის ახალ ღონისძიებათა პასუხად მნიშვნელოვნად გაადიდონ ბოსტნეული კულტურების მოსავალი და მებოსტნეობით მიიღონ 1 მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი.

უეჭველია, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ დაუჭერენ მხარს წილკნელ კოლმეურნეთა შესანიშნავ თაოსნობას და ჩაებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში სიმინდის უხვი მოსავლის მოსაყვანად, ხორცის, რძის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებისათვის.

წილკნელ კოლმეურნეთა მოწოდებაზე საქმით პასუხი იქნება საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება. არის სიგნალები, რომ ზოგან თესვისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. დრო არ ითმენს. თვითეული კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის გადაუდებელი ამოცანაა სრულ წესრიგზე მოიყვანოს ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სათეს კონდიციამდე აიყვანოს სათესლე მასალა, მინდვრად გაიტანოს სასუქები, მოამზადოს მექანიზატორთა კადრები, გაუმჯობესოს სწავლება აგროზოოტექნიკურ კურსებზე.

მასების შეჯიბრება ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა. იგი ფართო საჯაროობას მოითხოვს. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მეთაურობა გაუწიონ კოლმეურნეთა შემოქმედებითს ინიციატივას, წარმართონ იგი სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის საარსებო ამოცანების გადაჭრისათვის.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან სისტემატურად შეამოწმონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, შემოწმების შედეგების მიხედვით გააკეთონ პრაქტიკული დასკვნები. მათ უნდა გამოავლინონ შეჯიბრების მოწინავენი, ფართოდ დანერგონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ყოველივე ახალი, მოწინავე, პროგრესული, რაც წარმოიშობა საბჭოთა ადამიანების დაუღალავ შრომაში, გააკრიტიკონ ისინი, ვინც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, არ დაუშვან ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში.

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს — 1956 წელს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, პარტიის დავალების ვადამდე შესრულებისათვის, მივცეთ სამშობლოს მეტი მარცვლეული და მეცხოველეობის მეტი პროდუქტები!

1956 წელს სიმინდის უხვი მოსავლისათვის

მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრების

მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მემინდვრის, მეცხოველისა და მექანიზატორისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი აღმავლობით ემზადებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისათვის. ამ დღეებში, განიხილავენ რა გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებს, კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ პირველ წარმატებებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე. როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრმა კოლმეურნეობამ, ჩვენმა არტელმაც მნიშვნელოვნად გაადიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. მაგალითად, ყველა მარცვლეული კულტურის საერთო მოსავალი 1954 წელთან შედარებით 1.900 ცენტნერით გაიზარდა. გადიდდა მეცხოველეობის სულადობა და პროდუქტიულობა. თუ 1954 წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე მივიღეთ 620 კილოგრამი რძე, გასულ სამეურნეო წელს მოწველილია 1.726 კილოგრამი. გასული წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე, ე. ი. ოთხ თვეში კოლმეურნეობაში თვითეულ საფურაქე ძროხაზე უკვე მიღებულია 684 კილოგრამი მეტი, რაც მთლიანად მიღებული იყო 1954 წელს. ძროხების რაოდენობა 1954 წელთან შედარებით გადიდებულია 44 სულით. მარცვლეულის, რძის, ხორცის, კვერცხის, მატყლის სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის გეგმები შესრულებულია გადაჭარბებით.

ამ წარმატებათა მოპოვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სიმინდმა. სიმინდის მეოხებით ყველა მარცვლეული კულტურის საერთო მოსავლის დავალება შესრულდა ერთიორად, ხოლო მერძეული მეცხოველეობის პროდუქტიულობა ერთი წლის განმავლობაში თითქმის ერთისამად გადიდდა. ძროხებს უხვად ვაჭმევდით სიმინდს როგორც სილოსის სახით შემოდგომა-ზამთრის თვეებში, ისე დამატებით მწვანე საკვების სახით ზაფხულში.

სიმინდის უხვი მოსავლის მიღებას დიდად შეუწყო ხელი შრომის დამატებითი ანაზღაურების სისტემამ, რასაც ჩვენი კოლმეურნეობა უკვე რამდენიმე წელიწადია მტკიცედ ახორციელებს. გასულ წელს შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით კოლმეურნეებზე გაიცა 160 ტონა სიმინდი, მარტო დამატებითი ანაზღაურების სახით მთელმა რიგმა კოლმეურნეებმა 1,5-1,6 ტონა სიმინდი მიიღეს. შარშან თვითეულ შრომადღეზე გაიცა 8,2 კილოგრამი მარცვლეული.

იმისათვის, რომ ყოველწლიურად დიდდებოდეს სიმინდის სასურსათო მარცვლის მარაგი, სულ უფრო მეტი რაოდენობით ვამზადებდეთ მეტად ნოყიერ სილოსს მეცხოველეობისათვის, საჭიროა, როგორც ამას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი მოითხოვს, გავადიდოთ სიმინდის — ამ უძვირფასესი კულტურის მოსავლიანობა. თუ უკანასკნელ წლებში ჩვენმა არტელმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწია სიმინდის წარმოების გადიდების საქმეში, ამას მნიშვნელოვანწილად უნდა ვუმადლოდეთ სოციალისტურ შეჯიბრებას. აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა ჩვენს კოლმეურნეობაში გადაიქცა ღირსების საქმედ და, როგორც წესი, ყოველთვის წარმატებით მთავრდება.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა აღფრთოვანებულმა ჩვენი კოლმეურნეობის ბრიგადირმა, უხვი მოსავლის ოსტატმა ზაქრო ცოციაშვილმა მიმართა რესპუბლიკის კოლმეურნეებს წინადადებით გაეჩაღებინათ შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად. ამ მოწოდებას ყველგან მხურვალედ გამოეხმაურნენ.

შეჯიბრების ინიციატორმა ზ. ცოციაშვილმა ვალდებულება იკისრა ნათესების თვითეულ ჰექტარზე მიეღო 60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. ეს ვალდებულება მან წარმატებით გაანაღდა და მისი ბრიგადისათვის მიჩენილი 45 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გასულ წელს მიიღო 74,5 ცენტნერი მარცვალი. შარშან სიმინდის კარგი მოსავალი მოიყვანა საერთოდ ჩვენმა კოლმეურნეობამ — 173 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 49,5 ცენტნერი სიმინდი. ჩვენს კოლმეურნეობას ასეთი მოსავალი ჯერ არასოდეს არ მოუყვანია.

შეგნებული გვაქვს რა სიმინდის წარმოების შემდგომი გადიდების დიდი მნიშვნელობა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის, რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობას, მტს-სა და საბჭოთა მეურნეობას მივმართავთ წინადადებით — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1956 წელს სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად. ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ სიმინდის ნათესის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ არანაკლებ 55 ცენტნერი მარცვლისა. ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა კიდევ უფრო მეტი ვალდებულება იკისრეს: მაგალითად, ზ. ცოციაშვილის ბრიგადამ იკისრა მოიყვანოს სულ ცოტა 80 ცენტნერი თვითეულ ჰექტარზე. მაღალი ვალდებულებები აიღეს იასონ ოსიშვილის და მიხეილ სიმონიშვილის ბრიგადებმა, ალექსი ბუქურის, შალვა კახუაშვილის, ალექსი წიკლაურის რგოლებმა. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს ამისათვის, რომ მივაღწიოთ მოსავლის ასეთ გადიდებას. სიმინდისათვის გამოყოფილია საუკეთესო ნაკვეთები — წელს ჩვენ მომზადებული გვაქვს სიმინდის დასათესად 60 ჰექტარი ყამირი, რომელიც ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში მოიხნა ღრმად, საკმაო რაოდენობით გვაქვს მომარაგებული სასუქები, სიმინდის დასათესი მთელი ფართობი მოხნული გვაქვს მზრალად, დამზადებულია მაღალხარისხოვანი ჰიბრიდული თესლი, რომელიც შარშან ჩვენ თვითონ მოვიყვანეთ. წელს ჩვენ ფართოდ გამოვიყენებთ კვადრატულ-ბუდობრივ თესვას, სიმინდის ნათესის მთელ ფართობს თავის დროზე მოვარწყავთ და კარგად დავამუშავებთ. ჩავატარებთ ნათესების დამატებით დამტვერვას.

მეტი სიმინდი ნიშნავს მივიღოთ მეტი მარცვალი, რძე, ხორცი და ცხიმი.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდება საშუალებას მოგვცემს მიმდინარე წელს კიდევ უფრო გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება, ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ჩვენი ვალდებულებაა მარცვლეულის წარმოება 1955 წელთან შედარებით გავადიდოთ 3.495 ცენტნერით, თვითეულ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ მივიღოთ 2.300 კილოგრამი რძე.

ჩვენი კოლმეურნეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 იანვრის დადგენილებას „კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების და დამზადების გადიდების შესახებ“. დადგენილებაში მოცემულია ამ კულტურების მოყვანის მძლავრი სტიმული და იგი დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას. მებოსტნეობას ჩვენს კოლმეურნეობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს. პარტიისა და მთავრობის დადგენილების პასუხად ვალდებულებას ვკისრულობთ გავადიდოთ ბოსტნეულის მოსავალი და მივიღოთ ჰექტარზე საშუალოდ 250 ცენტნერი კომბოსტო, 250 ცენტნერი პამიდორი, 120 ცენტნერი კიტრი, 500 ცენტნერი სუფრის ჭარხალი და მივიღოთ მებოსტნეობით ფულადი შემოსავალი არანაკლებ ერთი მილიონი მანეთისა.

ჩვენ გულდასმით გავეცანით ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მიმართვას, ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს მათს წინადადებას, ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირობას ვდებთ მნიშვნელოვნად გავადიდოთ მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

ძვირფასო ამხანაგებო! მაქსიმალურად გამოვიყენოთ თესვამდე დარჩენილი დრო სიმინდის თესლის მოსამზადებლად, მინდვრებში სასუქის შესატანად, კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვისათვის კადრების მოსამზადებლად.

აღვნიშნოთ 1956 წელი, მეექვსე ხუთწლედის პირველი წელი, ახალი შრომითი წარმატებებით!

საერთო კრების დავალებით: **შ. პაპავაძე** — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **გ. გაბინაშვილი** — პარტბიუროს მდივანი, **შ. მგლიშვილი** — აგროტექნიკოსი, **ა. ლაშაური** — ფერმის გამგე, **ზ. ცოციაშვილი, ი. ოსიშვილი, მ. სიმონიშვილი, გ. ლაშაური** — ბრიგადირები, **შ. კახუაშვილი, ვ. ლაშაური**—მერგოლურები, **ს. ჯანაშვილი** — მწველავი, **მ. ოქრუაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი — მეღორე, **ა. წიკლაური, მ. წიკლაური, ე. მასპინძელაშვილი** — კოლმეურნეები, **ვ. გომურიშვილი** — მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

ამხ. ა. ი. მიქოიანმა მიიღო მარშალი ჯუ დე

7 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ჯუ დე და მისი თანმხლები პირები: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ნე ეონ-ჯენი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის წევრი ლიუ ლან-ტაო, მრჩეველი ში ჯე.

მიღებას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო.

ა. ი. მიქოიანსა და მარშალ ჯუ დეს შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი. (საკდესი).

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო მარშალი ჯუ დე

7 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ჯუ დე და მისი თანმხლები პირები: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ნე ეონ-ჯენი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის წევრი ლიუ ლან-ტაო და მრჩეველი ში ჯე.

მიღებას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო.

ვ. მ. მოლოტოვსა და მარშალ ჯუ დეს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი. (საკდესი).

13 თებერვალს საღამოს 8 საათზე მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეხუთე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეხუთე სესია.

ხესია შედგება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8).

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

ბათუმი. (საკ. კორ.). გაიმართა აჭარის ასსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები:

1. აჭარის ასსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და აჭარის ასსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

2. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ს. ჯიჯეიშვილმა, თანამოხსენებით გამოვიდა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი რ. სირაძე.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად აჭარის მშრომელებმა 1955 წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს.

აჭარის ასსრ გასული წლის დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტი 126.245 ათასი მანეთის ოდენობით შემოსავლის ნაწილში შესრულებულია 132.186 ათასი მანეთის, ხოლო გასავლის ნაწილში 131.448 ათასი მანეთის რაოდენობით.

ბიუჯეტის წინაშე თავიანთი ვალდებულებები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს „მთავარნავთგასაღების“ ბათუმის სასაქონლო-სატრანსპორტო კანტორამ, „ზაგოტზერნოს“ ბათუმის ბაზამ, ლუდსახდელმა და ტყავის ქარხნებმა, ხორცკომბინატმა და სხვა საწარმოებმა.

საბიუჯეტო დავალებანი ვერ შეასრულეს ბათუმის ღვინის ქარხანამ, „გლავტექსტილტორგის“ აჭარის სავაჭრო ბაზამ, ელექტრონაგებობათა სამართველომ და სხვ.

სესიაზე დიდი ყურადღება მიექცა საბიუჯეტო-საშტატო დისციპლინის განმტკიცებისა და მმართველობის ორგანოების გამარტივებისა და მათი შენახვის ხარჯების შემდგომი შემცირების საკითხებს.

სესიამ აჭარის ასსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში დაამტკიცა 136.215 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც გასული წლის დაზუსტებულ ბიუჯეტს 9.970 ათასი მანეთით აღემატება.

ბიუჯეტის 13,2 პროცენტი გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს მოხმარდება 108.920 ათასი მანეთი, ანუ მთელი ბიუჯეტის 80 პროცენტი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ — მოხსენება გააკეთა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ნ. ასათიანმა.

სესიამ დაამტკიცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები, მიღებული აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პირველ და მეორე სესიებს შორის.

ფულადი პრემია მოწინავე კოლმეურნეოგებგსა და მწველავებს

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის გაწეული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და დაადგინა მიეცეს ფულადი პრემია სამ-სამი ათასი მანეთი 50 კოლმეურნეობას, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს 1954-1955 სამეურნეო წელს წველადობის, სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებისა და მიყიდვის გეგმები. ესენი არიან:

ასპინძის რაიონი: სოფელ ასპინძის კაგანოვიჩის სახელობის, სოფელ ოშორის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობები.

გურჯაანის რაიონი: მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანება“, ველისციხის სტალინის სახელობის, ქალაქის ორჯონიკიძის სახელობის, სოფელ შრომის სტალინის სახელობის, ვეჯინის ლენინის სახელობის, გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის და ჭანდრის კოლმეურნეობები.

საგარეჯოს რაიონი: გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადი“ და სართიჭალის მეცხრამეტე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა.

ბოლნისის რაიონი: სოფელ მუსოფრიანის კომკავშირის სახელობის, აკაურთის ლენინის სახელობის, ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები.

ლენინგორის რაიონი: სოფელ ჩიგოიანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა.

თეთრი წყაროს რაიონი: სოფელ ისურეთის და სოფელ კოდის კოლმეურნეობები.

ბოგდანოვკის რაიონი: თორთიის ორჯონიკიძის სახელობის, არაქალის კუიბიშევის სახელობის, ოროჯოლარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობები და ხანჩალის კოლმეურნეობა „კრასნაია ზასტავა“.

მარნეულის რაიონი: სოფელ შაუმიანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა.

გარეუბნის რაიონი: სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

დმანისის რაიონი: სოფელ კიროვისის კიროვის სახელობის, განთიადის ორჯონიკიძის სახელობის, ჯავახის მეჩვიდმეტე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობები.

წითელწყაროს რაიონი: სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა და წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა.

მცხეთის რაიონი: წილკნის ხრუშჩოვის სახელობის, ძველი ქანდის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობები.

წალკის რაიონი: სოფელ კუშჩის მიქოიანის სახელობის, ოლაანგის ანტრეევის სახელობის და აშკალის კოლმეურნეობები.

გარდაბნის რაიონი: ბირლიკის ვოროშილოვის სახელობის, გარდაბნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობები.

ბათუმის რაიონი: სოფელ სარფის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა.

ქუთაისის რაიონი: სოფელ რიონის კოკვიძის სახელობის კოლმეურნეობა.

ხაჩხერის რაიონი: სოფელ სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობა.

ცხაკაიას რაიონი: ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

წყალტუბოს რაიონი: გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის, წყალტუბოს სტალინის სახელობის, მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები.

წალენჯიხის რაიონი: წალენჯიხის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა.

ცაგერის რაიონი: სოფელ ორხვის კოლმეურნეობა „განთიადი“.

ლანჩხუთის რაიონი: სოფლების ლესის და ჯურუყვეთის კოლმეურნეობები.

ორჯონიკიძის რაიონი: სოფელ ლაშის კოლმეურნეობა „იმედი“.

გეგეჭკორის რაიონი: სოფელ თამაკონის დიმიტროვის სახელობის, ამავე სოფლის მეთვრამეტე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობები.

სამტრედიის რაიონი: ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ აგრეთვე სამას-სამასი მანეთით დაჯილდოვა რესპუბლიკის კოლმეურნეობების 150 მწველავი და მწყემსი, რომლებმაც წველადობის 1954-1955 სამეურნეო წლის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

★ ★ ★ ★

21 ნაღნობი ერთ სამუშაო ღღეში

რუსთავი. (საკ. კორ.). სკკპ XX ყრილობის გახსნის ღღის მოახლოებასთან დაკავშირებით რუსთავის მეტალურგები სისტემატურად ზრდიან მუშაობის ტემპს, სულ უფრო მეტ თუჯს, ფოლადს, ნაგლინსა და მილებს აძლევენ სამშობლოს.

თებერვლის მარტო ექვს ღღეში მემარტენეებმა განახორციელეს 67 ჩქაროსნული ნაღნობა და გეგმის გადამეტებით გამოადნეს დიდძალი ფოლადი.

უჩვეულო წარმატებებს მიაღწიეს მეფოლადეებმა 4 თებერვალს. ამ ღღეს მათ ციცხვებში გადაუშვეს 21 ჩქაროსნული ნაღნობი, რომელთა საშუალო ხანგრძლივობა 7 საათსა და 24 წუთს არ აღემატებოდა. მეფოლადეების ზ. ყაველაშვილის, შ. შუბითიძის, დ. აბაკელიას, ბ. ივანცოვის, ვ. ბულგატოვის ბრიგადებმა ნაღნობები 6 საათსა და 30 წუთში და 6 საათსა და 50 წუთში მიიღეს. ასობით ტონა ზეგეგმითი ფოლადი ღღელამეში — ასეთი იყო პატრიოტ მეფოლადეთა საამაყო მაჩვენებელი.

ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას

ხაშური. (საკ. კორ.). რკინიგზის კვანძის საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ჩაბმული არიან პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალი წარმატებით აღნიშნეს მიმდინარე წლის იანვარი.

სალოკომოტივო დეპოს მეელმავლეებმა იანვარში სურამის უღელტეხილზე უზრუნველყვეს მატარებელთა უნიფათო ტარება და გეგმის გადამეტებით გადაზიდეს ათეულ ათასობით ტონა ტვირთი. გადაჭარბებით გაანაღდეს ტექნიკური სიჩქარის და სადღეღამისო გარბენის ნორმები, შეამცირეს „ავადმყოფი“ ელექტრომავლების რიცხვი და 17,5 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

მუშაობის საუკეთესო მაგალითები აჩვენეს ამავე დეპოს მეორთქლმავლეებმაც. მათ გასულ თვეში 161,4 პროცენტით შეასრულეს ორთქლმავლების სადღეღამისო გარბენის დავალება და რამდენიმე ტონა საწვავი დაზოგეს.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში წარმატებებს მიაღწია სავაგონო დეპოს კოლექტივმაც. მან ვაგონების საშუალო შეკეთების იანვრის დავალება 113,3 პროცენტით შეასრულა. დაზოგილი მასალით შეკეთებულია ორი ვაგონი. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 22 პროცენტით.

მოწინავე გამოცდილება მასებს

ფოლადის ჩქაროსნული დნობის ოსტატი

ახოვანი ტანის ახალგაზრდა დაკვირვებით ადევნებს თვალს ელექტროღუმელში ფოლადის დნობის პროცესს. ეს ახალგაზრდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ცნობილი მდნობელი სარჭის ბეკოშვილია. ქარხნის მშენებლობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როდესაც ს. ბეკოშვილი საწარმოში მოვიდა. მან სწრაფად აითვისა მეყალიბის პროფესია, და როდესაც ამუშავდა ლითონხამსხმელი საამქრო, პირველი სხმული სწორედ მან მიიღო. ორი წელი იმუშავა ბეკოშვილმა მეყალიბედ და ამ ხნის განმავლობაში არაერთი მაღალკვალიფიციური ოსტატი აღზარდა. მაგრამ როდესაც 1950 წელს საამქროში ამუშავდა პირველი ელექტროღუმელი, ს. ბეკოშვილმა გადაწყვიტა შეესწავლა ფოლადის მდნობელის რთული და საპატო პროფესია.

ს. ბეკოშვილი

სამი თვის განმავლობაში იგი ფოლადის მდნობელის თანაშემწე დ მუშაობდა. შემდეგ კი წარმატებით ჩააბარა გამოცდა და უკვე დამოუკიდებლად შეუდგა შრომას.

ვოლტას რკალის პრინციპით მომუშავე სამფაზიანი ელექტროღუმელი რთული დანადგარია. ს. ბეკოშვილი ბეჯდოთად სწავლობდა ღუმელის ყოველ კვანძს, ფოლადის დნობის ტექნოლოგიას. დაეუნებით უკვირდებოდა და არკვევდა ღუმელის მუშაობაში შეფერხებების გამომწვევ მიზეზებს.

განსაკუთრებით დაეხმარა ს. ბეკოშვილს დოსტატებში მოწინავე მეფოლადეთა მუშაობის მეთოდების გაცნობა და შესწავლა. ამ მიზნით იგი გაგზავნეს გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში. გორკელმა ოსტატებმა მას ბევრი რამ ახალი გაუზიარეს და შეასწავლეს. აქ მიღებულ გამოცდილებას იგი წარმატებით იყენებს.

მუშაობის დაწყებამდე ბეკოშვილი გულდასმით ამოწმებს ელექტროღუმელის ტექნიკურ მდგომარეობას — მექანიზმებისა და ელექტრომოწყობილობის გამართულობას, იმარაგებს საჭირო ხელსაწყოებს, ხინჯავს მასალების მარაგის რაოდენობას. ღუმელის ამონაგის და თაღის წესიერულ მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ იგი იწყებს ღუმელში წინასწარ მომზადებული გაბარიტული კაზმის ჩაწყობას, რომლის დროსაც დიდ ყურადღებას აქცევს კაზმის პრომორციულად განლაგებას სადნობ აბაზანაში, რაც საშუალებას აძლევს ყოველ დნობაზე 30 პროცენტით მეტი ფოლადი მიიღოს და საგრძნობი რაოდენობით დაზოგოს ელექტროენერგია.

კაზმის გადნობის შემდეგ ყველაზე პასუხსაგებია რაფინირების პერიოდი — როდესაც ხდება ნახშირბადის ამოწვა და კაზმში დამატებითი მასალების შეტანით ჩვენთვის სასურველი ნადნობის მიღება. ბეკოშვილი ამ პროცესს გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს, ვინაიდან აქ ოდნავი დაგვიანებაც ნადნობის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს.

ზუსტად დანიშნულ დროზე ბეკოშვილი იწყებს ღუმელიდან ფოლადის გამოშვებას და ციცხვში ჩასხმას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩამოსხმის ტექნოლოგიის დარღვევა იწვევს წუნდებული პროდუქციის მიღებას. ამიტომ იგი დიდ ყურადღებას აქცევს ციცხვიდან ყალიბებში ფოლადის ჩასხმას.

სამუშაო ადგილის ორგანიზაციამ, ღუმელის მოწყობილობათა გამართულმა მუშაობამ, დნობისა და ჩამოსხმის პროცესების ტექნოლოგიის დაცვამ, დროის რაციონალურად გამოყენებამ, მტკიცე საწარმოო და შრომის დისციპლინამ შესაძლებლობა მისცა ახალგაზრდა კომუნისტს ს. ბეკოშვილს ფართოდ განეფორციელებინა და დაენერგა ფოლადის ჩქაროსნული მეთოდით დნობა. იგი ახლა ცვლაში ნაცვლად სამისა ოთხ დნობას ახორციელებს. თვითეულ დნობაზე იძლევა 30 პროცენტით მეტ ფოლადს და დიდი რაოდენობით ზოგავს ელექტროენერგიას, ამასთან მან საგრძნობლად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, 30 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება, მინიმუმამდე დაიყვანა წუნი.

ს. ბეკოშვილმა ფოლადის დნობის ჩქაროსნული მეთოდი შეასწავლა ცვლის მეფოლადეებს: ზ. მიქაძეს, გ. აბზიანიძეს და ზ. ჭრელაშვილს.

მოწინავე მდნობელმა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში შეასრულა და უკვე დიდხანია მეექვსე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს. იგი გამოვიდა საამქროში პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორად და იკისრა ვალდებულებები, რომლებიც უკვე პირნათლად გაანაღდა. მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის გამოქვეყნებამ ახალი ენერგია შემატა მოწინავე მუშას. მან გადაწყვიტა თავისი წვლილიც შეიტანოს ამ დიადი პროგრამის განხორციელებაში, კიდევ უფრო სასახელო მაჩვენებლებით დაამთავროს მიმდინარე სამეჯურნეო წელი.

ა. ბერუჩევი.

მექანიზატორებმა ვალდებულება გაანაღდეს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ზესტაფონელი მექანიზატორები. მათ ვადამდე შეასრულეს ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის გეგმა. მტს-ის მუშაკებმა შეაკეთეს 17 ტრაქტორი, ამდენივე გუთანი, 4 სათესი მანქანა, 7 კულტივატორი.

ნაკისრი ვალდებულების შესრულების საქმეში თავი ისახელეს იმ სატრაქტორო ბრიგადებმა, რომელთა ხელმძღვანელები არიან ვ. ხათრიძე, პ. აბულაძე, ს. დვალი.

ᲩᲕᲐ ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

ტყიბული. (საკ. კორ.). ქვანახშირის გამამდიდრებლები, რომლებიც ჩაბმული არიან პარტიის მეოცე ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. მათ პირობა ჰქონდათ დადებული იანვარში და თებერვლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოეშვათ და რუსთაველის მეტალურგებისათვის გაეგზავნათ 1.500 ტონა საკოქსე კონცენტრატი. ეს ვალდებულება ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა რვა ღღით ადრე გაანაღდა.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი ქვანახშირის გამამდიდრებელი საამქროს კოლექტივმა, რომელსაც შ. რიჟამაძე უდგას სათავეში. ნაყოფიერად იმუშავეს აგრეთვე ნახშირის მომზადებისა და ელექტრომექანიკური საამქროებში.

ქვანახშირის გამამდიდრებლები გამოეხმაურნენ თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულ თაოსნობას და იკისრეს წლიური დავალება შეასრულონ ვადაზე ორი კვირით ადრე, მეტალურგებს გეგმის ზვით გაუგზავნონ ათასობით ტონა საკოქსე კონცენტრატი.

მეშახტეთა ნვლილი

აწლოვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გახსნის ღღე. ტყვარჩელელი მეშახტეები მთელი ენერგიით იბრძვიან, რათა მეტი ქვანახშირი მისცენ სამშობლოს, პირნათლად გაანაღდონ ყრილობის აღსანიშნავად აღებული ვალდებულებები.

ჩვენმა ცვლამ იანვრის დავალება 120 პროცენტით შეასრულა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ვალდებულება ავიღეთ 14 თებერვლისათვის გეგმის გადამეტებით ამოგვეღო 350 ტონა ქვანახშირი. ეს ვალდებულება უკვე გადაჭარბებით გავანაღდეთ, იანვარში სამშობლოს გეგმის ზვით მივეცით 370 ტონა ქვანახშირი.

მაღალნაყოფიერი შრომით განსაკუთრებით გამოირჩევა მნგრეველ-მტვირთავთა ბრიგადა, რომელსაც ს. ფენეროვი ხელმძღვანელობს. საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ მეშახტეებს ვ. ციგანოვს და ა. ლაპინს, რომლებიც გეგმებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.

მეშახტეთა გამართულ მუშაობას დიდად ეწყობს ხელს ელექტროზეინკალ ა. შაკაიას თავდადებული შრომა. მოწინავე ზეინკალს ყოველთვის სწრაფად და შეუფერხებლად მოჰყავს წესრიგზე მწყობრიდან გამოსული მექანიზმები.

ჩვენი ცვლა ამჟამად იბრძვის იმისათვის, რომ თებერვალში გეგმის გადამეტებით ამოიღოს 500 ტონა ქვანახშირი.

ვ. სულამანიძე,
„ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის მესამე შახტის მეხუთე უბნის ცვლის უფროსი.

პარტიული აქტივის კრებები ერთსულოვნად იწონებენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს

ᲡᲝᲩᲣᲛᲘ

საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრებამ განიხილა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი.

მომხსენებელმა — პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ჩიქოვანმა და კამათში სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ სოხუმის შრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული შენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელების საკითხებზე ილაპარაკა თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის დირექტორმა პ. თოფურიამ. თამბაქოს ნაწარმის გამოშვების შემდგომ გადიდებასთან დაკავშირებით მან მოითხოვა სოხუმში აშენდეს ახალი, თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული საფერმენტაციო ქარხანა.

აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, საშენი მასალების წარმოების გადიდების უზრუნველსაყოფად აღგილობრივი ნედლეულის გამოყენების საკითხებს შეეხო თავის სიტყვაში აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ე. აკშბა.

ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის პარტიულის მდივანმა ვ. ჩიქოვანმა აქტივის კრების მონაწილეებს მოუთხრო მეფეხსაცმელეთა მძლავრ პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობაზე. ამასთან ერთად მან გააკრიტიკა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, რომელიც ნაალებად ზრუნავს კომბინატის რეკონსტრუქციისათვის.

როგორც საქალაქო აქტივის კრებაზე აღინიშნა, სოხუმის შრომელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოვისა და თბილისის მოწინავე საწარმოების კოლექტივების პატრიოტულ თაოსნობას და ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება 1956 წლის საწარმოო გეგმებას ვადამდე შესრულებისათვის.

პარტიული აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XX ყრილობის დირექტივების პროექტი და მოუწოდა კომუნისტებს, ყველა შრომელს წარმატებით განახორციელონ კომუნისტური პარტიის მიერ დასახული დიადი ამოცანები. (საკ. კორ.).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ამ ღღეებში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება, მიძღვნილი მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვისადმი. მოხსენებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ გამოვიდა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. გვასალია.

მეექვსე ხუთწლედში დიდი პერსპექტივებია დასახული ქუთაისის შემდგომი განვითარების, მისი მრეწველობის ზრდის და ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში. გათვალისწინებულია აიგოს პურის მექანიზებული ქარხანა, რძის ქარხანა, საკონდიტრო ფაბრიკა, ღვინის ქარხანა, გუმბრინის გამამდიდრებელი ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შენებელი ქარხანა, მარმარილოსა და ასფალტის ქარხნები, ავტოსარემონტო სადგურები, ლითონგასაღების ბაზები და სხვ. აშენდება კულტურისა და დასვენების პარკი, მოეწყობა ახალი სკვერები და შენდგეს მასივები.

კამათის მონაწილეებმა — საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. აბზიანიძემ, აბრეშუმკომბინატის დირექტორმა ა. მიქელაძემ, მანქანათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა დ. სვანაძემ, ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა შ. ლომთათიძემ, რკინიგზის ქუთაისის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანმა დ. მეგრელიშვილმა, შუშის ტარის ქარხნის დირექტორმა ე. სანაძემ, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ტაკიძემ და სხვებმა მოიყვანეს მაგალითები იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ გაიზრდება აბალ ხუთწლედში პროდუქციის გამოშვება, როგორ წავა წინ ქალაქის კეთილმოწყობისა და გამშვენიერების საქმე. ცნობშენელოვნად გადიდდება საავტომობილო ქარხნის პროდუქციის გამოშვება. ორჯერ და მეტად გაიზრდება კვების პროდუქტების წარმოება. მანქანათმშენებელ ქარხნის საერთო პროდუქცია მეექვსე ხუთწლედის ბოლოს 1955 წელთან შედარებით გაიზრდება 83,4 პროცენტით.

როგორც მოხსენებაში, ისე კამათში გამოსულთა სიტყვებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეექვსე ხუთწლედის წარმატებით შესრულებას გადაწყვეტენ ადამიანები, მათი თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომა. პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს აქტივობას და მთელი ენერგიით ებრძოლონ ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

განხილულ საკითხზე აქტივის კრებამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. (საკ. კორ.).

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ

შედგა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა უ. სხირტლაძემ. კამათში სიტყვებით გამოვიდნენ: სტალინის სახელობის მაღაროს დირექტორი ლ. გომხოთელიანი, ლენინის სახელობის მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ლაბუჩიძე, დიმიტროვის სახელობის მაღაროს დირექტორი შ. ახვლედიანი, მარგანტრესტის მმართველის მოადგილე მშენებლობის დარგში გ. შანიძე, ქალაქის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. მოდებაძე, ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტის ჭიათურის სამშენებლო სამმართველოს პარტბიუროს მდივანი დ. კუპატაძე და პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. ხიდაშელი.

მომხსენებელმა და კამათში სიტყვებით გამოსულებმა ილაპარაკეს იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც მარგანეცის ქალაქის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დგას ახალ ხუთწლედში. დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია მარგანეცის მოგბოვება და დამზადება გადიდდეს 1,5-ჯერ.

საქალაქო პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო საგებობათა მშენებლობის გაძლიერება, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება წარმოებაში ახალი ტექნიკის დასანერგავად.

სამთო მრეწველობას დიდძალი სამაგრი მასალა სჭირდება. ხის ბიგების გამძლეობის გადიდების მიზნით აქტივის კრებამ საჭიროდ ცნო აშენდეს ბიგების გამაღენთავი ქარხანა.

აქტივის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ერთსულოვნად მოიწონა დირექტივების პროექტი და დასახა ღონისძიებანი მარგანეცის მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის. (საკ. კორ.).

თხუთმეტი წელი

აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ხალხის ისტორიაში დაიწყო ეროვნული განვითარების ახალი ერა, ეკონომიური და სულიერი აყვავების ერა. 35 წლის მანძილზე საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხთა მხარდამხარ უმაგალითო წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება. აკადემია შეიქმნა 1941 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავისათვის. იგი ჩამოყალიბდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისა და მანამდე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემავალი რამდენიმე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბაზაზე.

თავდაპირველად ჩვენს აკადემიაში ითვლებოდა 16 ნამდვილი წევრი. მის სისტემაში შედიოდა 14 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, გაერთიანებული ორ განყოფილებაში (საზოგადოებრივ მეცნიერებათა და მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებანი). მიუხედავად იმისა, რომ აკადემიას დიდი სამამულო ომის მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობის გაშლა, პარტიისა და მთავრობის დახმარებით იგი სწრაფად იზრდებოდა და მტკიცდებოდა. სხვადასხვა დროს შეიქმნა აკადემიის კიდევ სამი განყოფილება (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა, ტექნიკის მეცნიერებათა და ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილებანი). ამჟამად ჩვენი აკადემია აერთიანებს 28 ინსტიტუტს და ბევრ სხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებას. გასული წლის შემოდგომაზე ჩატარებული არჩევნების შედეგად აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა საერთო რიცხვმა 80-ს მიაღწია, რაც ხუთჯერ აღემატება მის პირვანდელ შემადგენლობას. დიდად გაიზარდა ჩვენი აკადემიის სხვა მეცნიერ თანამშრომელთა რიცხვიც.

შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში აკადემიამ შეძლო გაეჩაღებინა დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რომლის შედეგები განუწყვეტლივ უწყობს ხელს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ მძლავრ აღმავლობას და ამავე დროს მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერების საერთო საგანძურში. პარტიის XX ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 35 და თავისი არსებობის 15 წლისთავს ჩვენი აკადემია ახალი თვალსაჩინო მიღწევებით ეგებება.

შორს გაითქვეს სახელი ჩვენმა ენათმეცნიერებმა. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ახალი დიდმნიშვნელოვანი შედეგები მოიპოვა ქართველური ენებისა და მათი მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიური ენების, ამასთან ახლო აღმოსავლეთისა და წინა აზიის ენების შესწავლაში. ინსტიტუტი წარმატებით განაგრძობს ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემათა კვლევას, სხვადასხვა ლექსიკონების, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების შედგენას.

უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივმა დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ისტორიის უფრო ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისათვის. დაიწერა საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის ახალი სახელმძღვანელო. ამჟამად ინსტიტუტში გაჩაღებულია მუშაობა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოთა შესადგენად. ინსტიტუტის თემატიკაში თანდათან ეკერეოვან ადგილს იკავებს სსრ კავშირის მოძმე ხალხებთან, განსაკუთრებით დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობისა და თანამშრომლობის საკითხთა კვლევა. ცალკე უნდა აღინიშნოს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული უაღრესად ძვირფასი მასალები. ამ მასალების ერთმა ნაწილმა საკმაოდ მდიდარი ასახვა და მეცნიერული განზოგადება ჰპოვა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების პირველ ტომში, რომელიც ამას წინათ გამოვიდა.

ფართო საკვლევაძიებო საქმიანობაა გაშლილი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის შესასწავლად. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში დასასრულს უახლოვდება ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანი კურსის ოთხტომეულის შედგენა. უკვე გამოვიდა პირველი ტომი, რომელიც მიეძღვნა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას; იბეჭდება და უახლოეს დროში გამოვა მესამე ტომი, მიძღვნილი ქართული ლიტერატურის საბჭოთა პერიოდისადმი. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა მოამზადა და დასაბეჭდად გადასცა ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. მომზადებულია ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ისტორიის ტომისაენტი.

ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა წარმოებს დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, სადაც დიდი ყურადღება ექცევა კვლევა-ძიების გაღრმავებას საბჭოთა ფსიქოლოგიის თეორიულ საკითხებზე, განსაკუთრებით განწყობის თეორიის პრობლემაზე. მნიშვნელოვანი სამუშაოებია შესრულებული პათოლოგიური და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სფეროში. ყურადღებას იქცევს ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გაწეული მუშაობა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ცალკეულ აქტუალურ საკითხებზე. აღსანიშნავია ეკონომიკის ინსტიტუტის ნაყოფიერი საქმიანობა საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური ისტორიის მასალების სისტემატიზაცია - შესწავლაში. ცალკეული



ენერგეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ჰიდრავლიკურ ექსპერიმენტს ახდენენ ლაბორატორიაში.

რატურის ისტორიას; იბეჭდება და უახლოეს დროში გამოვა მესამე ტომი, მიძღვნილი ქართული ლიტერატურის საბჭოთა პერიოდისადმი. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა მოამზადა და დასაბეჭდად გადასცა ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. მომზადებულია ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ისტორიის ტომისაენტი.

ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა წარმოებს დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, სადაც დიდი ყურადღება ექცევა კვლევა-ძიების გაღრმავებას საბჭოთა ფსიქოლოგიის თეორიულ საკითხებზე, განსაკუთრებით განწყობის თეორიის პრობლემაზე. მნიშვნელოვანი სამუშაოებია შესრულებული პათოლოგიური და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სფეროში. ყურადღებას იქცევს ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გაწეული მუშაობა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ცალკეულ აქტუალურ საკითხებზე. აღსანიშნავია ეკონომიკის ინსტიტუტის ნაყოფიერი საქმიანობა საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური ისტორიის მასალების სისტემატიზაცია - შესწავლაში. ცალკეული პრობლემების დამუშავებაში გარკვეულ შედეგებს მიაღწია აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივმა.

დიდი წარმატებები მოიპოვეს ქართველმა მათემატიკოსებმა. ამჟამად ქართული მათემატიკური სკოლა, რომელიც ძირითადად მოღვაწეობას ეწევა ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე მეცნიერული სკოლაა. ამ სკოლის უმთავრესი შრომები და გამოკვლევები განეკუთვნება დრეკადობის თეორიას და მათემატიკური ფიზიკის სხვა დარგებს. ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს აგრეთვე მათემატიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიც არის დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორია, ფუნქციათა თეორია, რიცხვთა თეორია, ტოპოლოგია, მიახლოებითი ანალიზი და სხვ. უკანასკნელ დროს ინსტიტუტში დაისახა ფართო ღონისძიებანი თანამედროვე გამოთვლითი მათემატიკის სწრაფი განვითარებისათვის, რასაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

წლითიწლობით სულ უფრო დიდმნიშვნელოვან შედეგებს აღწევს ფიზიკის ინსტიტუტი ისეთი უაღრესად აქტუალური პრობლემების დამუშავებაში, როგორიც არის კოსმოსური სხივების ფიზიკა, ატომბირთვის ფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა და სხვ. ფართო მუშაობა წარმოებს აგრეთვე თეორიული ფიზიკის სხვადასხვა დარგში. მომზადებულია ნიადაგი ინსტიტუტის მნიშვნელოვანი გაფართოება-გაზრდისათვის როგორც სამეცნიერო პერსონალის, ისე უახლესი ექსპერიმენტული აღჭურვილობის მხრივ.

რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და დარგობრივ დაწესებულებებში ფართოდ ჩაღდება მუშაობა ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისათვის, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მეცნიერულ კვლევაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მედიცინაში რადიაქტიურ გამოსხივებათა და ნიშანდებული ატომების მეთოდის გამოსაყენებლად.

საბჭოთა ასტრონომიული მეცნიერების ერთ-ერთი უძლიერესი კერა გახდა ბიურაკანის ასტროფიზიკური ობსერვატორია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ობსერვატორიის მიერ მოპოვებული ისეთი შედეგები, როგორიც არის დაკვირვებათა ფოტოელექტრული მეთოდის შემუშავება და დანერგვა ასტროფიზიკურ პრაქტიკაში, ვარსკვლავთა სივრცობრივი სიმკვრივის განსაზღვრის მეთოდის დამუშავება, გალაქტიკურ და გარეგალაქტიკურ ნისლოვანებათა და ვარსკვლავების ფერითი ეკვივალენტების მაჩვენებელი დიდმნიშვნელოვანი კატალოგების შექმნა და სხვ. ობსერვატორიამ პირველად სსრ კავშირში შეიმუშავა და დანერგა ასტროფიზიკურ დაკვირვებათა პრაქტიკაში ფოტოელექტრული მეთოდი. აბასთუმნის ობსერვატორია აღჭურვილია მძლავრი დამკვირვებელი და ლაბორატორიული მოწყობილობით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახლახან გამართული მენისკური ტელესკოპი, რომელიც უდიდესია სსრ კავშირში.

საქართველოში წარმატებით ვითარდება ქიმიური მეცნიერება. ქართველ ქიმიკოსებს შესრულებული აქვთ მრავალი ისეთი გამოკვლევა, რომლებსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვთ. უკანასკნელ წლებში პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში სულ უფრო ძლიერდებოდა კვლევა-ძიება ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეუშუალოდ არიან დაკავშირებული ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებთან.

ქართველ გეოლოგთა, მინერალოგთა და პეტროგრაფთა მეცნიერული მიღწევები კარგად არის ცნობილი მთელ საბჭოთა კავშირში. რესპუბლიკის საწარმოო - გეოლოგიური ორგანიზაციები ფართოდ იყენებენ ჩვენი აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის ნაშრომებსა და გამოკვლევებს.

დიდად განვითარდა გეოფიზიკური მეცნიერება, რამ

მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმი

ამ დღეებში თბილისში გაიმართა მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მეოთხე გაფართოებული პლენუმი. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მუშებმა, კოლმეურნეებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა, მსახიობებმა, ექიმებმა, პედაგოგებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა, მშრომელთა სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლებმა.

პლენუმი გახსნა მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ.

მოხსენება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვის შესახებ, რომელიც მოითხოვს შეწყდეს გამალებული შეიარაღება და აიკრძალოს ატომური იარაღი, გააკეთა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას მხურვალედ დაუჭირა მხარი ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხმა. ხალხები, რომლებიც სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობით, არ დაუშვებენ ახალი ომის საშინელების გამეორებას, ისინი უკან დაახევინებენ ბნელ ძალებს, ჩაშლიან ომის გამჩაღებელთა ვერაგულ გეგმებს. მშვიდობის ძალები განუხრელად იზრდებიან და მტკიცდებიან და ახლა უკვე ისინი ომის ძალებზე უფრო ძლიერი არიან.

— მშვიდობისათვის მებრძოლთა ავანგარდშია, — თქვა ამხ. ხორავამ, — დიდი საბჭოთა კავშირი, რომელიც წარმოადგენს მშვიდობის უძლეველ ბურჯს, რომელიც თანმიმდევრულად და მედგრად იბრძვის ხალხთა მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის, მეგობრობისათვის.

საქართველოს მშრომელები თავიანთ ხმას უერთებენ ყველა საბჭოთა ადამიანის ხმას, რომელნიც მოითხოვენ შეიარაღების შემცირებასა და ატომგულის იარაღის აკრძალვას, და პირობას იძლევიან თავდადებული შრომით განამტკიცონ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება.

სიტყვა ეძლევა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სტალინური პრემიის ლაურეატს ქ. ბახტაძეს.

— ყველა საბჭოთა ადამიანი, — ამბობს იგი, — მშვიდობის საქმის დიდი ერთგულია. მშვიდობა ჩვენ იმისათვის გვესაჭიროება, რომ ვაშენოთ, შევქმნათ. სამუშაოთა დიდებული პროგრამა, რომელიც დასახულია მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით, ქმნის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ახალ შესანიშნავ პერსპექტივებს. მხოლოდ იმ ქვეყანას, რომელიც ნამდვილად დაინტერესებულია მშვიდობით და ახორციელებს მშვიდობის ნამდვილ პოლიტიკას, შეუძლია განახორციელოს ესოდენ გრანდიოზული გეგმები. საბჭოთა მეცნიერები თავიანთ ძალებს მოახმარენ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა შესრულებას.

თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანემ გ. ბოგვერაძემ თავის სიტყვაში ილაპარაკა მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის სიხარულზე.

— საბჭოთა ქვეყანა, — თქვა მან, — მტკიცე ბრძოლას აწარმოებს შეიარაღების საყოველთაო შემცირებისათვის, მასობრივი მოსპობის საშუალებათა აკრძალვისათვის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სუსტი ვართ, რომ ჩვენზე გავლენის მოხდენა შეუძლია ატომურ შანტაჟს, ომის გამჩაღებელთა მუქარას. ჩვენი ხალხი მარტო როდია. ჩვენს გვერდით არიან დიდი ჩინელი ხალხი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მილიონობით მშრომელნი.

გამოთქვამს რა მისწრაფებას მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად განამტკიცოს მშვიდობის საქმე, დეპოს კოლექტივმა გადაწყვიტა მოაწყოს მშვიდობის სახელობის ელექტრომავალთა კოლონა და 1956 წლის დამლევამდე გადაიყვანოს ძძიმე წონის ათასი მატარებელი, გეგმის გადაჭარბებით გადაზიდოს 500 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები.

ტრიბუნაზეა მხატვარი ვ. შერპილოვი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს დეკემბრის სესიის გადაწყვეტილებას შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვისათვის მსოფლიო კამპანიის განხორციელების შესახებ. ჩვენი ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი ურყევია. მაგრამ მას როდი ავიწყდება, რომ არსებობს საფრთხე მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა ხრიკები, და ფხიზლად დგას მშვიდობის საგუშაგოზე.

აფხაზეთის მუშებისა და მოსამსახურეების, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაზე ილაპარაკა სოხუმის მუსიკალური სკოლის პედაგოგმა პ. ხიბამ.

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა ა. როგავამ აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები გამსჭვალული არიან მისწრაფებით უფრო თავდადებით იმუშაონ, რათა უყეთ შეასრულონ ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა, განამტკიცონ სამშობლოს ეკონომიური ძლიერება.

პოეტმა რ. მარგიანმა მწერლებს მოუწოდა აქტიურად იმუშაონ მშვიდობიანი კომუნისტური მშენებლობის გმირების სახის შექმნაზე, შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღონ ხალხთა ბედნიერებისათვის, მშვიდობის მტერთა წინააღმდეგ დიად ბრძოლაში.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რითაც ერთსულოვნად იწონებენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას, რომელიც მოუწოდებს შეწყდეს გამალებული შეიარაღება და აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ა. ა. ხორავა.

კომიტეტის მდივნად არჩეულია თ. ნ. ქვლივიძე. (საქდესი).

ახალი საწარმოო წარმატებებით ეგებებიან პარტიის XX ყრილობას თბილისელი მეფეხსაცმელეები. მოლოტოვის ხაზელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა იანვრის დავალება 107 პროცენტით შეასრულა და თვის გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 172 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. სურათზე: ბავშვისა და მოზარდის ფეხსაცმლის შემკერავი საამქროს მოწინავე მუშები მ. რახიმოვა (მარჯვნივ) და ვ. მურადხანოვი, რომლებიც ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და დღიურ დავალებებს 170 პროცენტით ანაღდებენ.

★

საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაცია

დუშეთი. (საკ. კორ.). სულ უფრო ფართოვდება რაიონის საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაცია. უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე ელექტროფიცირებულ იქნა 23 დასახლებული პუნქტი.

კოლმეურნეობებში იაფფასიან ელექტროენერგიას იყენებენ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. ელექტროდენით მუშაობენ სილოსისა და ნამჯის საჭრელები, მარცვალსაწმენდი მანქანები, წისქვილები. ელექტროენერგიით სარგებლობენ აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები.

ახლახან დამთავრდა ოთხი საკოლმეურნეო სოფლის — ჟინვალის, ციხისძირის, შუახევისა და ჭილურტის ელექტროფიკაცია.

ამჟამად ელექტროგადამცემი ხაზები გაჭაკავთ რაიონის ოთხ საკოლმეურნეო სოფელში.

გამოუყენებელი მიწების ათვისება

ბოლნისი. (საკ. კორ.). მრავალი წლის განმავლობაში მოუვლელად და უყურადღებოდ იყო მიტოვებული დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის 40 ჰექტარზე მეტი დაჭაობებული და ეკალ-ბარდით დაფარული ფართობი.

მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე კოლმეურნეები შეუდგნენ გამოუყენებელი მიწების ათვისებას, გაწმინდეს ნაკვეთები, გაიყვანეს საწრეტი არხები, გაასწორეს უსწორმასწორო ადგილები. ამ ფართობზე კოლმეურნეობას განზრახული აქვს დათესოს სიმინდი.

ახალი მიწების ათვისებაზე კარგად მუშაობს ის ბრიგადა, რომელსაც მოწინავე კოლმეურნე ნ. კიკოლაშვილი ხელმძღვანელობს.

საკოლმეურნეო წარმოების ახალი აღმავლობისათვის

მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე

6 თებერვალს შედგა ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საანგარიშო კრება. კრებაზე მოხსენება „1955 წელს კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობის შესახებ“ გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. პაპავაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე კოლმეურნეობა დადგა აღმავლობის გზაზე. ყველა მარცვლეული კულტურის საერთო მოსავალი წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. გასულ სამეურნეო წელს საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე მოწველილია 1.726 კილოგრამი რძე. მარცვლეულის რესურსების გადიდებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებაში უდიდესი როლი შეასრულა სიმინდის ნათესების გაფართოებამ და მოსავლიანობის ზრდამ. კოლმეურნეობაში ფართოდ გაიშალა მშენებლობა. აგებულია ტიპური საძროხე 150 სული პირუტყვისათვის, საფრინველე და საღორე.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა იმაზე, რომ შარშან კოლმეურნეობამ ბოსტნეულის საერთო მოსავლიანობის გეგმა ვერ შეასრულა. მან აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ახალი ღონისძიებანი მეკარტოფილეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარებისათვის ქმნის უდიდეს ეკონომიურ დაინტერესებას ბოსტნეულის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებით და გუჯავლებს მტკიცედ განვახორციელოთ ბოსტნეულის მოყვანის მაღალი აგროტექნიკა.

სიმინდის კულტურის ფართოდ განვითარება საშუალებას გვაძლევს გავადიდოთ ღორის ხორცის წარმოება. გადაწყვეტილი გვაქვს 5,5 ტონა ღორის ხორცი ჩავბარეთ საბელმწიფოს. ამ მიზნით 30 სული ღორი დაყენებული გვყავს გასასუქებლად, ხოლო მიმდინარე წლის მეორე ნახევარში 50 სულს გავასუქებთ.

მომხსენებელმა აღიარა, რომ კოლმეურნეობის გამგეობა არასაკმაოდ ეხმარებოდა ბრიგადებსა და რგოლებს შრომის უკეთ მოწყობისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. შეუწყნარებელია ის, რომ შრომისუნარიან კოლმეურნეთა 14 პროცენტს შარშან არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, ხოლო 16 კოლმეურნეს სრულიად არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში.

ჩვენი კოლმეურნეობა მილიონერია. შრომადღეზე გაანაწილეთ 8,2 კილოგრამი მარცვლეული.

მთელი საბჭოთა ხალხი, — განაცხადა დასასრულ ამხ. შ. პაპავაძემ, — უდიდესი აღფრთოვანებით განიხილავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ყველა ღონეს იხმარენ, რათა მეექვსე ხუთწლედში მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მკვეთრად გადიდებას.

კრებამ მოისმინა კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ვ. დიდებაშვილის და მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მთავარი აგრონომის ა. ბარისაშვილის საანგარიშო მოხსენებანი.

საანგარიშო მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი.

მოკამათეებმა გამოავლინეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი კოლმეურნეობის გამგეობისა და მტს-ის მუშაობაში.

საანგარიშო კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობის გამგეობა არასაკმაოდ იბრძოდა მებოსტნეობის და მებაღეობის საქმის წინწასწევად, შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვის საქმეში ნაკლოვანებათა თავის დროზე აღმოფხვრისათვის.

როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათეებმა გააკრიტიკეს მცხეთის მტს-ის მუშაობა. აღინიშნა, რომ მტს-ი წლითიწლობით ვერ ასრულებს ვენახების რიგთა შორის კულტივაციის, ბოსტნეული კულტურების ჩითილის დარგვის, კვალრატულ-ბუდობრივი წესით დათესილი სიმინდის ფართობების ორმხრივი კულტივაციის გეგმას. მემინდვრეობის ბრიგადირებმა ა. მაკარაშვილმა, მ. სიმონიშვილმა და ი. ოსიშვილმა გააცხადეს, რომ მტს-მა დაგვიანებით გაუგზავნა კოლმეურნეობის ზოგიერთ ბრიგადას კომბაინები, რამაც გამოიწვია პურეულის მოსავლის აღების გაჭიანურება და დიდი დანაკარგები.

აღინიშნა, რომ სერიოზული შუაობაა ჩასატარებელი სოფელ წილკნის კეთილმოწყობის გასაუმჯობესებლად. სოფელი არ არის ელექტროფიცირებული და არა აქვს წყალადენი. ბრიგადირმა დ. ხაშიაშვილმა განაცხადა, რომ საჭიროა მცხეთის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უფრო მეტად იზრუნონ სოფლის ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციისათვის.

მემინდვრეობის ბრიგადირმა ზ. ცოცანიშვილმა აღნიშნა, რომ ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება და ბრიგადის წევრთა სახელით პირობა დადო მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 80 ცენტნერი სიმინდი.

კრებაზე დიდი ყურადღება მიექცა მეცხოველეობის ფერმაში მუშაობის კულტურის ამაღლების საკითხებას. მერძევეობის ფერმის გამგემ ა. ლაშაურმა განაცხადა, რომ ფერმაში არ არის ავტომატური სარწყულებლები, ნაკელის გაზიდვა ხელით წარმოებს, მეცხოველეობაში დაწერგული არ არის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ჩვენ გვაყვს მწველავთა საუკეთესო კადრი. ზემოაღნიშნული საკითხების მოგვარება ხელს შეუწყობს პროდუქტიულობის შემდგომ ამაღლებას.

ბრიგადირმა ს. ჯანაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერ კოლმეურნეობის გამგეობა ნაკლებად ეხმარება კოლმეურნეებს სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში. მან გააკრიტიკა აგრეთვე სარეგიზიო კომისიის მუშაობა და თქვა, რომ კოლმეურნეობის ბუჰალტერია ჯერ კიდევ მოუქნელად მუშაობს.

აგრონომ-ქიმიკოსი შ. მგელიშვილი დაეთანხმა მოკამათეებს იმაში, რომ მებოსტნეობისა და მებაღეობის განსაკუთარებულად აუცილებლად საჭიროა ამაღლდეს მიწათმოქმედების კულტურა. მან თქვა, საქმეს ისე დააყენებენ, რომ არ დაუშვებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გაჭიანურებას და საუკეთესოდ მოემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განმტკიცებას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები მევენახეობის ბრიგადირმა ი. ლაშაურმა, მეცხოველეობის ფერმის გამგემ ვ. როსტიაშვილმა, მწველავმა ნ. ჯანაშვილმა და სხვ.

საანგარიშო კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის მდივანი ამხ. გ. სეხნაშვილი.

კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის გასული წლის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩათვალა და დამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

კრებამ დაავალა არტელის გამგეობას მიმდინარე წელს უზრუნველყოს შრომის დისციპლინის განმტკიცება და კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების გადიდება და ამ ნიადაგზე მიაღწიოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვან ზრდას.

კრებაზე შემოტანილ იქნა წინადადება, რომ წილკნის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა გამოვიდეს სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად 1956 წელს სიმინდის უზეი მოსავლისათვის. ეს წინადადება კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს და მიიღეს მიმართვა საქართველოს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მემინდვრის, მეცხოველისა და მექანიზატორისადმი სიმინდისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

თ. კუნჭულია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ქ. თბილისში ბავშვთა კინოთეატრების მაუშაკებმა ... ლონისძიებანი ...

საქართველოს სა[illegible] დასახა ღონისძიებანი ქ. თბილისში ბავშვთა კინოთეატრების გასაუმჯობესებლად.

კულტურის სამინისტრომ კინოფიკაციის სამმართველოს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას დაავალა:

კინოთეატრებში „კომკავშირელში“, „თბილისში“ და „26 კომისარში“ ყოველდღიურად მოაწყონ არანაკლებ ორი საბავშვო კინოსეანსისა, ყოველდღიურად კინოსეანსების საერთო რიცხვის 7-მდე გაზრდით.

მოაწყონ სპეციალური საბავშვო კინოსეანსები კვირაობით და დღესასწაულ დღეებში ქალაქის ყველა კინოთეატრში, აგრეთვე ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში საბავშვო კინოსეანსების მოწყობა სკოლებში.

კინოფიკაციის სამმართველოს, კინოპროკატის რესპუბლიკურ კანტორას და ქალაქის საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას დაევალათ ყოველთვიურად შეადგინონ ქ. თბილისის კინოთეატრებსა და სკოლებში საბავშვო სეანსების მოწყობის სარეპერტუარო გეგმა.

ბავშვთა კინომომსახურების გასაუმჯობესებლად მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ. სკოლის დირექტორებს დაევალათ უზრუნველყონ საბავშვო კინოსეანსებზე მოსწავლეთა ორგანიზებული დასწრება ქ. თბილისის განათლების განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, ფართოდ ჩაებან ამ საქმეში კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციები და შშობელთა აქტივი.

ქარხნის ღიმერაგუჯრული წრის 25 წლისთავი

ოცდახუთი წელია ნაყოფიერად მუშაობს ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კლუბთან არსებული ბიბლიოთეკის ლიტერატურული წრე.

ლიტერატურული წრის პირველი წევრები იყვნენ ქარხნის მუშები შ. ნათლიღელი და ვ. ნაზარბეგოვი (ამჟამად პენსიონერები), აგრეთვე ვაგონის გამცილებელი გ. ტაბატაძე, საქვაბე საამქროს ოსტატი გ. მარიამული, ინჟინერები ტ. ჯავრშეიშვილი და კ. კაჭკაშვილი. წრის ნაყოფიერ მუშაობაზე ისიც მეტყველებს, რომ მასში გაერთიანებული მუშა-პოეტების ლექსები ხშირად იბეჭდება ქართულ პერიოდულ პრესაში, ხოლო ვ. ნაზარბეგოვის ლექსები ცალკე წიგნადაც გამოიცა.

ლიტერატურული წრე, რომელსაც მერვე წელია ხელმძღვანელობს პოეტი ვ. გორგანელი, აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ქარხნის მუშებს შორის. ქარხანაში ხშირად ეწყობა ლიტერატურული დილა-საღამოები, სიუჟეტები, ახალ ნაწარმოებთა კითხვა-განხილვა, შეხვედრები ცნობილ ქართველ მწერლებთან და სხვ.

წრე რეგულარულად მართავს ბიბლიოთეკის მკითხველთა კონფერენციებს. ამის წინათ ხატარდა 1905 წლის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მკითხველთა კონფერენცია, გამოშვებულ იქნა ამ თარიღისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთი.

წრის წევრები ქარხნის საამქროების ხშირი სტუმრები არიან. სამშენელო და საქვაბე საამქროებში წრის წევრებმა მუშებს გააცნეს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი. ამასთან წრის წევრებმა ვ. ნაზარბეგოვმა, შ. მარმარაშვილმა, გ. ბოზიაშვილმა და ნ. შიუკაშვილმა მუშებს წაუკითხეს თავიანთი ახალი ლექსები.

ოცდახუთი წლის აღსანიშნავად წრემ გამოუშვა ხელნაწერი ალმანახი „ჰიმნი საშრომლოს“, სადაც ყურადღებას იპყრობს ვ. ნაზარბეგოვის, თ. დოლიძის, მ. გულიევის, გ. ტაბატაძის, ვ. ლაზუაშვილის, ლ. ბედენაშვილის, ნ. შიუკაშვილის, გ. ბოზიაშვილის, შ. მარმარაშვილის, შ. ვინსოვსკის ლექსები და თ. ხუციშვილის მოთხრობა „მომავლის გზა“.

ახალი წიგნები

მ. ახათიანი — მოთხრობები. „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 4.000, გვ. 96, ფასი 2 მან. 40 კ.

ა. გომიაშვილი — ლექსები. ბალადები. ერთტომეული. სახელგამი, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 215, ფასი 6 მან. 25 კ.

ა. გურჯაძე — ლექსები. „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 3.000, გვ. 96, ფასი 2 მან. 40 კ.

ფილმი დიდ ქართველ კომპოზიტორზე

„ეთერის სიმღერა“ — ასე ეწოდება იმ ახალ კინოფილმს, რომლის გადაღებასაც ამთავრებს ლენინის ორდენოსანი თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმი“.

ცნობილ ქართველ კინორეჟისორს ხიკა დოლიძეს კარგახანია განზრახული ჰქონდა ეკრანზე წარმოესახა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. ამ მიზნის განსახორციელებლად კინორეჟისორს დიდი მუშაობა მოუხდა. სცენარი (ავტორი ხ. დოლიძე), ძირითადად ეყრდნობა ზ. ფალიაშვილის შესახებ არსებულ საარქივო მასალებს, ლიტერატურულ წყაროებს, განსაკუთრებით კი დიდი კლასიკოსის მუსიკალურ მემკვიდრეობას.

ფილმის მიზანი არ არის ზ. ფალიაშვილის ცხოვრების ქრონოლოგიური სიზუსტით ასახვა. ეს იქნება ფილმი, რომელიც მოგვითხრობს კომპოზიტორის როგორც საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ისე პირად ცხოვრებაზე, დაგვანახებს, გაგვაცნობს მისი ცხოვრების ძირითად მომენტებს, საგულისხმო ეპიზოდებს, მის სულიერ სამყაროს, რამდენადაც ხელოვანის პირადი განცდები მჭიდროდ უკავშირდება მის შემოქმედებას.

ფილმი ძირითადად გვიჩვენებს კომპოზიტორის ცხოვრების რამდენიმე პერიოდს. მასში ნაჩვენები იქნება ხელოვანის მძიმე ხვედრი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, როდესაც ყოველივე ეროვნული ჩახშობილი და დევნილი იყო. ნაჩვენები იქნება ის უდიდესი დაბრკოლებანი, რაც თან სდევდა კომპოზიტორის რევოლუციამდელ მოღვაწეობას.

მაგრამ, აი გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც დაამსხვრია მშრომელთა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილი. ქართული ხელოვნების, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხის ხელოვნების წინაშე ფართო და ნათელი გზა გადაიშალა, საქართველოში დღეახსწაულობენ ოპერა „აბესალომ და ეთერის“ მე-200 დადგმას...

დიდი და რთული ამოცანა იდგა მსახიობ ვ. კვაჭაძის წინაშე — შეექმნა სახე ქართული მუსიკის უდიდესი კლასიკოსისა, სწორად გაეხსნა მისი სულიერი სამყარო. ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს ზაქარია ფალიაშვილი ისეთი, როგორიც ის სინამდვილეში იყო, კიდევ მეტ პასუხისმგებლობას ავალებდა მსახიობ როლის შემსრულებელს. ფილმში განსაკუთრებით იქნება ხაზგასმული ფალიაშვილის შემოქმედებასთან ხალხური მუსიკისა და ზეპირსიტყვიერების მჭიდრო ურთიერთობა, ნაჩვენები იქნება კომპოზიტორის დიდი სიყვარული და ინტერესი ხალხური მუსიკისა და ფოლკლორისადმი.

„ეთერის სიმღერაში“ უმეტესად მონაწილეობენ ქართველი მაყურებლისათვის კარგად ცნობილი მსახიობები: მედეა ჯაფარიძე, რამაზ ჩხიკვაძე, ლეო ბაქრაძე, გიორგი გეგეჭკორი და სხვები.

ფილმი აგებულია ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“, „დაისახ“ და სხვა ნაწარმოებების მუსიკის ფონზე. ფილმის საერთო მუსიკალური რედაქცია ეკუთვნის ო. თაქთაქიშვილს.

ფილმის გადაღება დაიწყო გასული წლის ივნისში. სერიოზული მუშაობა გასწიეს დამდგმელმა რეჟისორმა ხ. დოლიძემ, რეჟისორმა ვ. შველიძემ, ოპერატორმა მ. ფელდმანმა, მხატვარმა რ. მირზაშვილმა და მთელმა გადამღებმა ჯგუფმა. ცალკეული ეპიზოდების გადაღება წარმოებდა მცხეთის ჯვრის მონასტრის მიდამოებში, გომბორის უღელტეხილზე, თბილისის მიდამოებსა და კინოსტუდიის პავილიონებში.



ფილმ „ეთერის სიმღერის“ გადაღების მომენტი. სურათზე (მარჯვნიდან): მსახიობი მედეა ჯაფარიძე და რეჟისორი ხ. დოლიძე. ფოტო შ. გოქაძისა.

ზ. ფელოვანი,
დ. გვერდწითელი.

ჯობესება და გამოყენება, საქართველოს სეისმური პირობების შესწავლა და სხვ. ახალი წარმატებანი მოიპოვა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა საქართველოს ტერიტორიის კომპლექსურ-გეოგრაფიულ შესწავლაში და სხვა პრობლემების კვლევაში.

მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობას ეწევიან ჩვენი აკადემიის ტექნიკის მეცნიერების დარგის, სახელდობრ, ლითონისა და სამთო საქმის, ენერგეტიკის, სამშენებლო საქმის ინსტიტუტები. უკანასკნელ დროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიული დადგენილების პასუხად, ამ ინსტიტუტებში უფრო ფართოდ გაჩაღდა მუშაობა მეცნიერების მიღწევების დასანერგავად რესპუბლიკის მრეწველობაში, მშენებლობაში, სამრეწველო წარმოებისათვის დახმარების გასაწევად, წარმოების მუშაკებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის გასაძლიერებლად.

წლითიწლობით სულ უფრო ფართო და მრავალმხრივი ხდება აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დარგის ინსტიტუტების მუშაობა. ინსტიტუტები აქტიურად გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის შესახებ, მნიშვნელოვნად გადაახალისეს თავიანთი სამეცნიერო თემატიკა და მჭიდროდ დაუკავშირეს იგი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის არსებითს მოთხოვნებს.

მცენარეული სამყაროს მრავალი წლის გულმოდგინე და საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ბოტანიკის ინსტიტუტმა მოამზადა და გამოსცა „საქართველოს ფლორის“ რვატომიანი ფუნდამენტური ნაშრომი. ინსტიტუტმა დაადგინა საქართველოს როგორც ტყეების, ისე მდელო-ველების მცენარეულობის ძირითად ფორმაციათა ტიპოლოგიური შედგენილობა, ყოველ ტიპს მიეცა სამეურნეო შეფასება.

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში თვალსაჩინო შედეგებია მიღებული ვაზის მოსავლიანობის გადიდების, ყურძნის ხარისხის ამაღლების, სხვადასხვა ქართული ღვინის ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და სხვა პრობლემების დამუშავებაში. ახალ წარმატებებს მიაღწია ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტმა ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემუშავებაში.

ნაყოფიერად მუშაობენ ჩვენი მეცნიერი მეტყევეები. წარმატებით მუშავდება გაჩანაგებული ტყეების სწრაფი აღდგენის, ტყის ხელოვნურად გაშენებისა და მთელი რიგი სხვა საკითხები. ავადმყოფობათა და მავნებელთაგან მცენარეთა დაცვის საქმეში დიდ როლს ასრულებს აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი. სულ უფრო აძლიერებს საკვლევაძიებო მუშაობას მარცვლეული, ტექნიკური და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე მემინდვრეობის ინსტიტუტი.

მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული მიღწევები აქვთ ქართველ საბჭოთა მეცნიერებს ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა დარგებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფიზიოლოგიის უაღრესად დიდი განვითარება საქართველოში. ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი წარმატებით განაგრძობს მუშაობას ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების ძირითად კანონზომიერებათა შესასწავლად ელექტროგრაფიკული მეთოდით.

ზოოლოგიის ინსტიტუტში დამთავრდა რესპუბლიკის მავნე ენტომოფაუნისა და ჰელმინთოფაუნის მრავალი ოჯახის შესწავლა. მიღებული შედეგები მეტად მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის დასაცავად სხვადასხვა მავნებელთაგან.

დიდ ინტერესს იწვევს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის მიერ გაწეული საქმიანობა სხვადასხვა სიმსივნეებისა და მთელ რიგ ქირურგიულ სნეულებათა შესასწავლად. კარდიოლოგიის ინსტიტუტი წარმატებით იკვლევს გულისა და სისხლძარღვთა დაავადებების აღმოცენებისა და განვითარების მიზეზებს და სრულყოფს მათი მკურნალობის საშუალებებს. მრავალი საყურადღებო მეცნიერული შედეგი იქნა მიღებული ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში.

დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარების შესწავლას, რასაც პალეობიოლოგიის სექტორი ეწევა საქართველოში მოპოვებულ მდიდარ პალეონტოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით.

თვალსაჩინო წარმატებებთან ერთად ჩვენი აკადემიის სამეცნიერო მოღვაწ

დეპეშა ოდესიდან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს ა. პ. ვოლკოვს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ფ. ლაცისს

მოსკოვი.

ტოვებს რა დიდი საბჭოთა კავშირის მიწაწყალს, ბულგარეთის საპარლამენტო დელეგაცია თქვენ და თქვენი მეშვეობით მთელ საბჭოთა ხალხს მხურვალე მადლობას უძღვნის მეგობრობისა და ძმური მიღებისათვის, რომელიც თქვენს ქვეყანაში მოგვიწყეს. გისურვებთ შემდგომ უფრო მეტ წარმატებებს ხალხთა შორის მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ბულგარეთის საპარლამენტო დელეგაციის სახელით

ფერდინანდ კოზოკასკი.

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი გამგზავრების გამო ინგლისში

ლონდონი, 6 თებერვალი. (საკ-დესი). საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი მოღვაწეების მომავალი ვიზიტი დიდ ბრიტანეთში კვლავ ინგლისის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. დიდ ბრიტანეთში სსრ კავშირის საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის სახელზე მოდის ინგლისის ქალაქების მუნიციპალიტეტების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ფირმებისა და კერძო პირების მრავალი წერილი. ავტორები წერილებისა, რომელთაგან ბევრი გამოგზავნილია უშუალოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის მისამართით, დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ ინგლისში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ჩამოსვლის გამო და აცხადებენ, რომ გულითად შეხვედრას მოუწყობენ მათ. მთელი რიგი ქალაქების, მათ შორის კოვენტრის, ბედფორდტონის, გლაზგოს, ნორტჰემპტონის, გრინვიჩისა და სხვათა მუნიციპალური საბჭოები თავიანთ წერილებში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეებს სთხოვენ ეწვიონ მათს ქალაქებს. „ქალაქ ნორტჰემპტონის მოქალაქეთა და მუნიციპალიტეტის სახელით, — წერს ამ დიდი სამრეწველო ცენტრის მერი, — მე გთხოვთ გვესტუმროთ ამ ძველ ქალაქში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ჩამოხვალთ. თქვენს თანხმობას ესტუმროთ ინგლისს დიდი მნიშვნელობა აქვს. მას მილიონობით ადამიანი ჩვენს ქვეყნებში მიიჩნევს როგორც დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარების გზაზე, რაც ამჟამად კატეგორიობის უმთავრესი ამოცანაა“. ქალაქ ლემინგტონის მერი, უგზავნის რა საბჭოთა ხელმძღვანელ მოღვაწეებს „გულითად მოწვევას“, წერს, რომ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს „მიესალმება ყველა“ როგორც ნაბიჯს, რომლის მიზანია „კეთილსურველი ურთიერთობის დამყარება ხალხებს შორის“.

„კარდიფის საქმის ადამიანთა კლუბის“ პრეზიდენტმა სერ რობერტ უებერმა კლუბის სახელით ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი მიიწვია კარდიფში და სთხოვა სიტყვა წარმოთქვან მიტინგზე. ისტ უელსიდენის კონსერვატიულმა ასოციაციამ, მიიწვია რა საბჭოთა ხელმძღვანელები ესტუმრონ ასოციაციას, განაცხადა, რომ მათ გულთბილ და გულითად შეხვედრას გაუმართავენ. ლონდონის უცხოელ ჟურნალისტთა ასოციაციის კომიტეტისაგან მიღებულ მიწვევაში ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს სთხოვენ დაესწრონ საპატიო სტუმრებად ასოციაციის საზეიმო კრებას.

სხვადასხვა ფირმისა და კომპანიის, კერძოდ, ოსეთების, როგორიც არის „რობერტ ასკვიტი“, „აბერდეარ კეიბლს ლიმიტედი“, „საუს უელს სვიტჩგარ ლიმიტედი“, „ჯ. არტურ რენკ ორგანიზეიშნ ლიმიტედი“, წარმომადგენელთა წერილები შეიცავენ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მიწვევას მათს საწარმოებში.

გულთბილად არის დაწერილი ინგლისის პროფკავშირთა სხვადასხვა ადგილობრივი განყოფილების წერილები. მაღაროელთა ეროვნული პროფკავშირის ჰეტფილდის (იორკშირი) განყოფილების მდივანი პ. კოლი თავისი პროფკავშირის წევრთა სახელით სთხოვს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს გაატარონ ერთი დღე მათს მეშახტეთა დაბაში და დაათვალიერონ შახტი. დანდის რკინიგზელები, სთხოვენ რა საბჭოთა ხელმძღვანელ მოღვაწეებს ესტუმრონ მათ, წერენ, რომ ისინი ამაყობენ წვლილით, რომელიც შეიტანეს იმ საქმეში, „რომ განვმტკიცებინათ მეგობრობა თავიანთ ამხანაგებთან საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებში“.

ქალაქ ლანელის (უელსი) პროფკავშირთა საბჭომ ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნა გულითადი მოწვევა ესტუმრონ მათს ქალაქს და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი ვიზიტი ხელს შეუწყობს იმ დაბრკოლებების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლიან ვაჭრობის განვითარებას ინგლისსა და სსრ კავშირს შორის, — დაბრკოლებებსა, რომლებიც, როგორც წერილის ავტორები ამბობენ, ძირს უთხრიან ინგლისის ეკონომიკას და მძიმე გავლენას ახდენენ ლანელის მოსახლეობის კეთილდღეობაზე. პოლიგრაფიული, საამქროსთა და ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა ეროვნული პროფკავშირის ფედერალური მდივანი ვ. მორისონი წერილში თავისი პროფკავშირის ალმასკომის სახელით მიესალმება ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტს ინგლისში. „ჩვენ დარწმუნებული ვართ, — წერს ვ. მორისონი, — რომ ვიზიტი იქნება რეალური წვლილი საერო კეთილსასურველი ურთიერთობის შექმნის საქმეში, იგი მოსპობს უნდობლობასა და ეჭვს, რომლებიც, სამწუხაროდ, წარმოიშვა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ამ უკანასკნელ წლებში“.

მიწვევა მიღებულია აგრეთვე ლონდონის, გლაზგოს, კემბრიჯის სტუდენტთა ორგანიზაციებისაგან, სასპორტო და სხვა ორგანიზაციებისაგან.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი. (საკ-დესი). გუშინ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ა. ა. სობოლევის თავმჯდომარეობით გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც განიხილავდა სუდანის განცხადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ.

საბჭოს განსახილველად წარედგინა ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვდა, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს სუდანის განცხადება და ურჩიოს გენერალურ ასამბლეას მიიღოს სუდანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. საბჭოთა კავშირის დელეგაცია შეუერთდა რეზოლუციის ამ პროექტს, როგორც თანაავტორი.

წინადადებას მხარი დაუჭირა უშიშროების საბჭოს ყველა წევრმა.

უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება რჩევა მიეცეს გენერალურ ასამბლეას მიიღოს სუდანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

კენჭისყრის მოტივების გამო გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი, რომელიც გასცდა უშიშროების საბჭოს დამტკიცებული დღის წესრიგის ფარგლებს და შეეხო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად იაპონიის მიღების საკითხს და ამ „დაბრკოლებებს“, რომლებიც თითქოს ხელს უშლიან იაპონიის მიღებას. ამგვარი „დაბრკოლება“, ლოჯის აზრით, ის არის, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი წინ გადაეღობა იაპონიის მიღებას.

ლოჯის განცხადების პასუხად საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იაპონიის ან სხვა სახელმწიფოს მიღების საკითხი არ არის დასმული უშიშროების საბჭოს ახლანდელი სხდომის დღის წესრიგში. ხოლო თუ რომელიმე დელეგაციას სურს განიხილოს ეს საკითხი, თქვა მან, ამისათვის არის ჩვეულებრივი გზები, სახელდობრ ის, რომ საკითხი შევიტანოთ საბჭოს დღის წესრიგში.

საბჭოთა დელეგაცია, ხაზგასმით აღნიშნა სობოლევმა, მზად არის განიხილოს იაპონიისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების საკითხი, თუ საბჭოს წევრებს მიაჩნიათ, რომ აღმოფხვრილია ის სიძნელეები, რომლებმაც ხელი შეუშალა ამ ორი სახელმწიფოს მიღებას გენერალური ასამბლეის X სესიაზე. ეს სიძნელეები, როგორც ცნობილია, მაშინ წარმოიშვა ჩანკაიშელის ვეტოს შედეგად, რომელმაც ასამბლეის უმრავლესობის ნების წინააღმდეგ ფაქტიურად ჩაშალა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და იაპონის მიღება 18 ქვეყანასთან ერთად, როგორც ამას მოითხოვდა გენერალური ასამბლეის 1955 წლის 8 დეკემბრის რეზოლუცია.

სუდანის განცხადების განხილვის მაგალითი, თქვა დასასრულ სობოლევმა, ცხადყოფს, რომ თუ უშიშროების საბჭოს ყველა წევრი იცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპს, მაშინ იმ ქვეყნების მიღებას, რომლებმაც განცხადება შემოიტანეს, არაფერი არ აბრკოლებს. ხოლო თუ ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს თავს მოახვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ფავორიტიზმის პოლიტიკა ზოგიერთი ქვეყნის მიღების მიმართ და დისკრიმინაციის პოლიტიკა სხვა ქვეყნების მიმართ, ბუნებრივია, წარმოიშობა სიძნელეები და ირღვევა წესების დებულებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების შესახებ.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 8 თებერვალი. (საკ-დესი). როგორც ვაშინგტონის რადიო გადმოგვცემს, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა დღეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ განაგრძობს მიწერ-მოწერას საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრ ბულგანინთან, რადგან მიაჩნია, რომ ამერიკამ უნდა გამოიყენოს მშვიდობის ყოველი გზა. პრეზიდენტის სიტყვით, მას ჯერ კიდევ არ დუმთავრებია ბულგანინის უკანასკნელი წერილის პასუხის შედგენა.

უპასუხა რა კორესპონდენტის კითხვაზე, რომელმაც სთხოვა შეეფასებინა პრემიერ-მინისტრ იდენთან შუა აღმოსავლეთის საკითხზე მოლაპარაკების შედეგები, პრეზიდენტმა თქვა, რომ ყოველივეს გააკეთებს, რაც ძალუძს, რათა არ დაუშვას საომარი მოქმედების დაწყება შუა აღმოსავლეთში.

რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ ამ თვის ბოლოს მას ალბათ ექნება საკმაო ინფორმაცია, რათა გადაწყვეტოს, ეცდება თუ არა ხელახლა იქნას არჩეული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 8 თებერვალი. (საკ-დესი). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა დღეს კონგრესს გაუგზავნა წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ იმიგრაციის დარგში. წერილში იგი რჩევას იძლევა შეიცვალოს ახლანდელი კანონი, რომელიც მოითხოვს იმ უცხოელთა თითების ანაბეჭდის აღებას, რომლებიც ცდილობენ მიიღონ ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლის ვიზა ან ნებართვა დროებითი შესვლისათვის, რათა გაფართოონ ურთიერთობა „იდეების, კულტურისა და ვაჭრობის“ დარგში.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში მ. დეჟანი

ამ დღეებში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში მ. დეჟანი, რომელმაც მას გადასცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კრისტიან პინოს პირადი წერილი.

წერილში ბ-ნი პინო, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დაკავებასთან დაკავშირებით, მიესალმება საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს და გამოთქვამს სურვილს ერთად იმუშაონ ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ვ. მ. მოლოტოვმა სთხოვა საფრანგეთის ელჩს გადასცეს ბ-ნ პინოს მისი მადლობა მისალმებისათვის და იმედი გამოთქვა, რომ წარმატებით ითანამშრომლებს ბ-ნ პინოსთან მშვიდობის განმტკიცებისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება ლონდონში

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკ-დესი). გუშინ ლონდონში გამოქვეყნდა შემდეგი ერთობლივი კომუნიკე საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკების შესახებ:

7 თებერვლს სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენელი ი. ა. მალიკი და იაპონიის წარმომადგენელი სიუნიეი მაცუმოტო განაგრძობდნენ სსრ კავშირისა და იაპონიის სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტის მუხლობრივ განხილვას. შემდეგი სხდომა დანიშნულია 10 თებერვლისათვის.

გაათავისუფლეს ნორვეგიის ხელისუფალთა მიერ დაკავებული საბჭოთა თევზსაჭერი გემები

ოსლო, 8 თებერვალი. (საკ-დესი). როგორც პრესა იუწყებოდა, ნორვეგიის ხელისუფლებმა დააკავეს რამდენიმე საბჭოთა თევზსაჭერი გემი, რომლებიც ქაშაყს იჭერდნენ ნორვეგიის ზღვაში.

ნორვეგიის ხელისუფლებთან მიმწოეული შეთანხმების შედეგად და მას შემდეგ, რაც საბჭოთა გემების კაპიტნები დათანხმდნენ გადაეხადათ დაწესებული ჯარიმა, ყველა დაკავებული საბჭოთა თევზსაჭერი გემი გაათავისუფლეს. 7 თებერვალს ეს გემები ოლესუნდის ნავსადგურიდან გავიდნენ ზღვაში და ამჟამად თევზს იჭერენ ატლანტიკის ოკეანეში.

დაიხურა სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომისიის სესია

პეკინი, 7 თებერვალი. (საკ-დესი). დღეს პეკინში ჯოუ ენ-ლაის თავმჯდომარეობით გაიმართა სრულიად ჩინეთის მეორე მოწვევის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის მეორე სესიის საბოლოო სხდომა. სხდომამ მიიღო რეზოლუციები ჯოუ ენ-ლაის პოლიტიკური მოხსენების გამო, ლი ძი-შენის საანგარიშო მოხსენების გამო სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მუდმივი კომიტეტის მუშაობის შესახებ და ჯან ნაი-ცის მოხსენების გამო სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ.

რეზოლუციაში პოლიტიკური მოხსენების გამო აღნიშნულია, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის მეორე სესია ერთსულოვნად იწონებს სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების გო მო-ჟოს მოხსენებას ინტელიგენციის საკითხზე, ჩენ შუ-ტუნის მოხსენებას კერძო კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის სოციალისტურ გარდაქმნათა საკითხზე, დუნ ბი-უს მოხსენებას კონტრრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, აგრეთვე სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის ბიუროს წევრის ჩენ ბო-დას მოხსენებას ჩინეთის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საკითხზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროგესი შეერთებული შტატებისადმი

პეკინი, 8 თებერვალი. (საკ-დესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება შეერთებული შტატების პროვოკაციული აქტების შესახებ, რომლებიც ბურთებს უშვებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამას წინათ ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს 36-40 ფუტი დიამეტრის დიდძალი საჰაერო ბურთი, გაკეთებული შეერთებულ შტატებში. ბურთებს მიბმული ჰქონდა პარაშუტები, ავტომატურად მოქმედი ფოტოაპარატები ადგილმდებარეობის აეროფოტოგადაღებისათვის, რადიომიმღებები და რადიოგადამცემები.

ბურთებზე მიბმული აპარატურა, აღნიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, მოწმობს, რომ ამ ბურთებს უშვებენ შეერთებული შტატები ჩინეთის ტერიტორიის აეროფოტოგადაღებისათვის დაზვერვის მიზნით.

აშკარად უშვებენ რა საჰაერო ბურთებს ჩინეთის ტერიტორიაზე სამხედრო დაზვერვის მიზნით, ხაზგასმით აღნიშნა წარმომადგენელმა, ამერიკის შეერთებული შტატები ამით სჩადიან სერიოზულ პროვოკაციულ აქტს, ხელყოფენ ჩინეთის საჰაერო სივრცეს. ჩვენ მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ამის წინააღმდეგ და მოვითხოვთ, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ თავიანთი პროვოკაციული მოქმედება.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოინონა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის დეკლარაცია

ბუდაპეშტი, 8 თებერვალი. (საკ-დესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანდრაშ ჰეგედიუშმა.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა საანგარიშო მოხსენება და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის სხდომის შესახებ გაკეთებული დეკლარაცია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომა

ბერლინი, 8 თებერვალი. (საკ-დესი). დღეს ბერლინში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის მეთერთმეტე სხდომა. დღის წესრიგში: პირველი და მეორე წაკითხვა კანონისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; პირველი და მეორე წაკითხვა კანონისა უცხოეთის ვალუტის მიმოქცევისა და კონტროლის შესახებ; გადაწყვეტილება გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან, აგრეთვე დიდი ბერლინის დასავლეთ სექტორებთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგადამხდელო ანგარიშსწორების შესახებ.

სახალხო პალატის სხდომის დასაწყისში განცხადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის სახელით გააკეთა პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. დი